საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/28 31 მარტი 2021 წ.

MES 0 21 0000305914

31/03/2021

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დროებით პოზიციაზე შესარჩევად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების, კონკურსანტთა რეგისტრაციის ვადების, ადგილისა და კონკურსის დასრულების თარიღის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს განმათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის შესარჩევად დანართი 1-ის მიხედვით (თან ერთვის).
2. კონკურსანტთა რეგისტრაცია, საკონკურსო დოკუმენტების მიღება დაიწყოს 2021 წლის 5 აპრილის საათიდან და დასრულდეს 2021 წლის 10 აპრილის საათზე. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს ყოველდღიურად შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი #1107.
3. კონკურსი ჩატარდეს კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებებისა და გასაუბრების ფორმით.
4. კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდეს 2021 წლის 12 აპრილს.
5. კონკურსანტთა გასაუბრება ჩატარდეს 2021 წლის 13 აპრილს.
6. კონკურსის შედეგი გამოქვეყნდეს 2021 წლის 14 აპრილს.
7. აპელაციის ვადად განისაზღვროს სამი დღე 2021 წლის 15 აპრილიდან 17 აპრილის ჩათვლით.
8. ამ ბრძანებით განსაზღრულ თანამდებობაზე კონკურსით შერჩეულ პირთან გაფორმდეს ვადიანი ხელშეკრულება - 2021 წლის 19 აპრილიდან 2021 წლის 19 ივლისამდე.

9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
10. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს“ რედაქციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი
როლანდ კოპალიანი